ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №87117

ნომერი: AR126092

თარიღი : 28.02.2012

გაცემის თარიღი : 19.03.2012

გაცნობის თარიღი : 22.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N90/22) / ქალაქი თბილისი , რიყის ტერიტორია , აღმართი ღვინის და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/027 / ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/028 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ომარ ჯანჯღავა პ/ნ 01017001635
- ქიაჩელის 5/7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს "PEK" კოდი: 404902584

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 ნოემბრის #1114 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 28 თებერვალს # AR126092 განცხადებით მომართა მანანა რაზმაძის მინდობილმა პირმა ომარ ჯანჯღავამ (მინდობილება #120245240) და

მოითხოვა 14.11.2008წ. #1114 ქლაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის გაზრდილი ფართობისა, ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირება და დამკვეთის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის ტანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 14 ნოემბერს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ღვინის აღმართსა და დუტუ მეგრელის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვეთი #090/012) მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად დადგენილი იქნა #1114 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნამ.რაზმაძის საკუთრებაში არსებულ 1038 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: #01.17.01.090.012. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით (ამონაწერის რეგისტრაციის #882012073793; მომზადების თარიღი; 24.02.2012წ.; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882012057912; მომზადების თარიღი: 13.02.2012წ. საკადასტრო კოდი: 01.17.01.090.030) ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 1112.00 კვ.მ.–ს საკადასტრო კოდით: #01.17.01.090.030. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეცვლილია სამშენებლო ობიექტის მესაკუთრე, კერძოდ: დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „P.E.K.”-ი, რომელსაც გააჩნია სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის განვითარების

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა.

14.11.2008წ. #1114 ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენის დროს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების თანახმად ნებართვის მაძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა ქალაქთმშენებლობით პირობებსა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ პირობებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდასა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, 61-ე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევდიეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 ნოემბრის #1114 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: ა) საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 1112 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს : #01.17.01.090.030; ბ) დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „P.E.K.”-ი (ID #404902584).
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 ნოემბრის #1114 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაერთოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერის რეგისტრაციის #882012073793; მომზადების თარიღი; 24.02.2012წ.; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882012057912; მომზადების თარიღი: 13.02.2012წ. საკადასტრო კოდი: 01.17.01.090.030)
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 ნოემბრის #1114 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.